186
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

## № 6

ნოემბერი—დეკემბერი

1970 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1970 წ.

## შინაარსი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

118. ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

119. მოქმედი არტეზიული ჭაბურღილების გამოყენების მოწესრიგების შესახებ
120. გარდაბნის რაიონის სოფელ სოღანლუღის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ
121. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილების მეორე პუნქტში დამატების შეტანის შესახებ
122. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ
123. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
124. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 იანვრის № 37 დადგენილების I პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

125. რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სავაჭრო-საწარმოო ქსელის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

126. საქართველოს სსრ სასასტუმრო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

127. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 სექტემბრის № 759 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

128. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს (საქმთავარმომარაგება) დებულების დამტკიცების შესახებ.

129. საქართველოს სსრ საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების ცენტრალიზებული შენახვის მოწყობის შესახებ

130. მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო თანხების დაწესების შესახებ

131. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ

132. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

133. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არქიტექტურულ-დაგეგმარების ორგანოების და სახელმწიფო არქიტექტურული სამშენებლო კონტროლის ინსპექციების შექმნისა და განმტკიცების შესახებ.

134. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს სტრუქტურის გამარტივების შესახებ

135. საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 118 ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მისი დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს გამოსცეს 1972—1974 წლებში ნ. ლორთქიფანიძის თხზულებათა სრული კრებული 4 ტომად ქართულ ენაზე და რჩეული ნაწარმოებები — 2 ტომად რუსულ ენაზე.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) მიაკუთვნოს ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის სახელი;

ბ) მემორიალური დაფა გააკრას ა. ჭავჭავაძის შესახვევში მდებარე № 1 სახლზე, სადაც მწერალი ცხოვრობდა.

3. მიეკუთვნოს მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის სახელი ქუთაისის 26-ე საშუალო სკოლას.

4. დაევალოს საქართველოს მწერალთა კავშირს მოაწყოს 1970 წლის დეკემბერში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. მჟავანაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 17 ნოემბერი, № 627

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

## 119 მოქმედი არტეზიული ჭაბურღილების გამოყენების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოიპოვება ცალკეული ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს გათხრილი ბევრი ჭაბურღილი, რომელთა უმეტესობის ექსპლუატაცია არ წარმოებს. ჭაბურღილებიდან გამომდინარე წყალი უნაყოფოდ იღვრება, რაც იწვევს მიწისქვეშა წყლების მარაგის გამოფიტვას, ნიადაგის დაჭაობიანებასა და დამლაშობებას. ამავე დროს ჭაბურღილებზე რომ მარეგულირებელი მოწყობილობა მოგვეწყო, შეიძლებოდა ეს წყალი გამოგვეყენებია მინდვრების

მოსარწყავად, საძოვრების წყალმომარაგებისა და სამკურნალო მიზნებისათვის.

იმ მიზნით, რომ შეწყდეს მიწისქვეშა წყლების ტყუილუბრალოდ დაკარგვა და მოწესრიგდეს მოქმედი არტეზიული ჭაბურღილების გამოყენება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ გეოლოგიის სამმართველოს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, ტრესტ საქნავთობს, „საქკაპტაჟმინწყლების" რესპუბლიკურ სამმართველოს მოაწყონ 1971-1972 წლებში წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტის მიერ შედგენილი ერთიანი ფორმის მიხედვით მოქმედი არტეზიული ჭაბურღილების პასპორტიზაცია და დაადგინონ მათი უწყებრივი კუთვნილება. პასპორტიზაციის მთელი მასალა გადასცენ 1972 წლის აგვისტოში განზოგადებისათვის გეოლოგიის სამმართველოს.

2. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაში მოიპოვება მოქმედი არტეზიული ჭაბურღილები, რომლებსაც არა აქვთ ონკანურ-მარეგულირებელი მოწყობილობანი, 1974 წლის 1 იანვრიდან გადაიყვანონ ონკანურ-მარეგულირებელ რეჟიმზე, ხოლო ექსპლუატაციისათვის უვარგისი ჭაბურღილები გააუქმონ.

დაწესდეს, რომ მოქმედი ჭაბურღილების გადაყვანას ონკანურ-მარეგულირებელ რეჟიმზე და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი მოქმედი ჭაბურღილების ლიკვიდაციას ახორციელებენ გეოლოგიის სამმართველო, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, „საქკაპტაჟმინწყლები" და ტრესტი „საქნავთობი" იმ ორგანიზაციებთან და მეურნეობებთან სახელშეკრულებო საწყისებზე, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან ეს ჭაბურღილები.

გეოლოგიის სამმართველომ, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, ტრესტ „საქნავთობმა", „საქკაპტაჟმინწყლების" რესპუბლიკურმა სამმართველომ, წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 1972 წლის დამლევისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამოვლინებული უპატრონო მოქმედი არტეზიული ჭაბურღილების სია და წინადადებანი იმის შესახებ, რომ ეს ჭაბურღილები ან გადაეცეს შესაბამის ორგანიზაციებს, ან გაუქმდეს.

3. დაწესდეს, რომ ახლადგათხრილ და საექსპლუატაციოდ გადაცემულ მოქმედ არტეზიულ ჭაბურღილებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ონკანურ-მარეგულირებელი მოწყობილობა, ხოლო საექსპლუატაციოდ გამოუსადეგარი ჭაბურღილები გაუქმდება დადგენილი წესით.

4. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს აწარმოონ არტეზიული ჭაბურღილების გათხრა მხოლოდ გეოლოგიის სამმართველოს ნებართვით და გათხრილი ჭაბურღილების პასპორტები დაუყოვნებლივ გადასცენ ამ სამმართველოს გეოლოგიურ ფონდს.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკრძალონ მიწისქვეშა წყლებზე ბურღვის სამუშაოების წარმოება გეოლოგიის სამმართველოს ნებადაურთველად;

— საჭირო დახმარება გაუწიონ გეოლოგიის სამმართველოს, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, ტრესტ „საქნავთობს" და „საქკაპტაჟმიწწყლების" რესპუბლიკურ სამმართველოს მოქმედი არტეზიული ჭაბურღილების პასპორტიზაციის საქმეში.

ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. ქიქნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 5 ნოემბერი, № 590

## 120 გარდაბნის რაიონის სოფელ სოღანლუღის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით თბილისის სამგორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში დატოვებული სოფელი სოღანლუღი გადაეცეს თბილისის საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში 402,30 ჰექტარი ტერიტორიით, დანართში ჩამოთვლილ მიწათმოსარგებლეთა და სავარგულების მიხედვით.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების პირველი პუნქტით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემული ტერიტორიიდან კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის 98,17 ჰექტარი მიწა (სახნავი, ბაღი, ვენახი და სხვა მიწები), აგრეთვე ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 13,40 ჰექტარი მიწა დარჩეს აღნიშნულ მიწათმოსარგებლეებს და შემდგომში მათი გადაცემა ქალაქის განვითარების საჭიროებისათვის, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მოხდეს მიწების გამოყოფის დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. პროექტი ბრძანებულებისა ზემოაღნიშნულ ცვლილებათა შესახებ შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 6 ნოემბერი, № 597

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 6 ნოემბრის № 597
დადგენილების დანართი

# ე ქ ს პ ლ ი კ ა ც ი ა

## თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დაქვემდებარებაში გადასაცემი მიწებისა

| მიწათმოსარგებლეთა დასახელება | სულ მიწები | მათ შორის: სახნავი | ბაღი | ვენახი | ბაღის სანერგე | საძოვარი სულ | სუფთა | ბუჩქნარი | ქვიანი | საკარმიდამო მიწები | ტყე | ტყის მინდვ. ზოლი | ბუჩქნარი | მდინარეები და ღელეები | არხები | გზები და მოედნები | საზოგადოებ. ნაგებობები და ეზოები | ხევხრამები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კრწანისის მებოსტნეობა-მერძევეობის ს/მ . | 243,09 | 28,81 | 29,39 | 4,20 | 0,92 | 5,44 | 4,24 | 0,92 | 0,28 | 132,60 | 1,24 | 4,88 | 3,19 | — | 3,99 | 17,36 | 4,82 | 6,25 |
| 2 ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი . . . . | 13,40 | 2,0 | 2,40 | — | — | 0,74 | 0,74 | — | — | — | — | 0,24 | — | — | — | — | 8,02 | — |
| 3. თბილისის გამწვანების ტრესტის სანერგე მეურნეობა . . . . . . | 27,10 | 25,88 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 0,62 | — | — | — | 0,60 | — | — |
| 4. სახელმწიფო ფონდის მიწები . . . . . . | 97,93 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 74,16 | 23,09 | — | 0,68 | — | — |
| 5. ქალაქის მიერ დაკავებული მიწები . . | 5,79 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 5,79 | — |
| 6. სასაფლაო . . . . | 3,40 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 3,40 | — |
| 7. სოლანლულის სკოლა . | 0,61 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 0,61 | — |
| 8. საავტომობილო გზების სამინისტროს მიწები | 9,88 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 9,88 | — | — |
| 9. ამიერკავკასიის რკინიგზის მიწები . . . . | 1,10 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 1,10 | — | — |
| ს უ ლ: . . . | 402,30 | 56,69 | 31,79 | 4,20 | 0,92 | 6,18 | 4,98 | 0,92 | 0,28 | 132,60 | 1,24 | 5,74 | 77,35 | 23,09 | 3,99 | 29,62 | 22,64 | 6,25 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**



შეკ. 120

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 121 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილების მეორე პუნქტში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, და „საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების შესახებ, რომლებიც სოფელ ადგილებში ცხოვრობენ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილების მეორე პუნქტს დაემატოს სიტყვა „მექანიზატორები" სიტყვების „საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები"-ს შემდეგ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წ. 9 ნოემბერი. № 600

## 122 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 ოქტომბრის № 873 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებაში „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ" და ჩამოყალიბდეს ქვემოჩამოთვლილი ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

— პირველი პუნქტის ქვეპუნქტი „ა":

„ა) საწარმოო დანიშნულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთი მილიონიდან 3 მილიონამდეა, დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო როდესაც სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთ მილიონ მანეთზე ნაკლებია — სა-

ქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი";

— მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „ა":

„ა) საწარმოო დანიშნულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 3 მილიონი მანეთი და მეტია, დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წარდგენით".

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 ოქტომბრის № 873 დადგენილებით „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილების მე-6 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ" ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„ბ) საწარმოო დანიშნულების იმ ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომლებიც სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შედიან და რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1-დან 3 მილიონ მანეთამდეა, დაამტკიცებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, ხოლო როდესაც სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთ მილიონზე ნაკლებია — იმ წესით, რასაც ისინი დაადგენენ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 11 ნოემბერი, № 605

## 123 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 მაისის № 316 დადგენილებით დამტკიცებული ვაჭრობის სამინისტროს დებულების მე-19 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ საკონსულტაციო საბჭოსა და რეკლამის საუწყებათაშორისო საბჭოს დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 18 ნოემბერი, № 612

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 124 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 იანვრის № 37 დადგენილების I პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

ენგურჰესის წყალსაცავის დატბორვის ზონის ჯვარის ტევრის დროულად მომზადების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 იანვრის № 37 დადგენილების I პუნქტში და მერქნის ჭრა და გამოზიდვა ენგურჰესის ჯვარის წყალსაცავის ტევრში დაეკისროს 1971 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 18 ნოემბერი, № 613.

## 125 რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სავაჭრო-საწარმოო ქსელის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ" გარკვეული მუშაობა გასწია, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა საწარმოო მომსახურების გაუმჯობესებას, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განვითარებას და გაიაფებას, საქონელგამტარი ქსელის სტრუქტურის რაციონალიზაციას, ვაჭრობის სპეციალიზაციას, საქონლის შიდარესპუბლიკური გადაზიდვის შემცირებას და სხვ.

ამასთან ერთად მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქონლის დაქსაქსვა მრავალრიცხოვან სავაჭრო ქსელში არ იძლევა ამ საქონლის ასორტიმენტის შერჩევის შესაძლებლობას, აგრეთვე იწვევს მისი სისტემისშიდა გადაზიდვის აუცილებლობას, რის შედეგადაც იქმნება დიდძალი თანხის ზენორმატიული ნაშთები.

რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სავაჭრო-საწარმოო ქსელის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" წინადადება, შეთანხმებული სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სოფლის მეურნე-

ობის სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროსთან, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სავაჭრო-საწარმოო ქსელის გაუმჯობესების შესახებ და დაევალოს მას განახორციელოს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ჩამოართვას „საქსოფლტექნიკის“ სისტემის რაიონულ განყოფილებებს სავაჭრო ფუნქციები და თავი მოუყაროს მათ სავაჭრო-შემოსაზიდ და სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზებში, დანართის თანახმად;

ბ) შეინარჩუნოს ყველა რაიონში (გარდა იმ რაიონებისა, რომლებშიაც არის სავაჭრო-შემოსაზიდი და სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზები) სავაჭრო წერტები პირველი საჭიროების საწარმოო დანიშნულების საქონლის გასაყიდად;

გ) რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სავაჭრო-საწარმოო ქსელის გაუმჯობესების შემდგომი ღონისძიებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის ოქტომბერში;

დ) სისტემატურად განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სავაჭრო-საწარმოო ქსელის შემდგომი გაუმჯობესება და რაციონალური ორგანიზაცია;

ე) ყველგან დანერგოს 1971 წლის იანვრიდან საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონლის შეტანა კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისათვის მომხმარებლის ფრანკო-მეურნეობის პირობებში, ამასთან მიიტანოს საქონელი რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ტრანსპორტით;

ვ) ძირეულად გააუმჯობესოს სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და საწარმოო დანიშნულების საქონელზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მოთხოვნილების შესწავლა და ამიერიდან არ შეიტანოს ისეთი მანქანები და საქონელი, რომლებიც მეურნეობებს არ მოუთხოვიათ. საქონლის ზეგეგმითი შეტანა დაუშვას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც არის იმის გარანტია, რომ იგი გაიყიდება იმავე წელს;

ზ) დაამტკიცოს სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით მომხმარებლისათვის საქონლის მიტანის სქემა;

თ) 1971 წლის 1 იანვრამდე დაიყვანოს საქონლის ნაშთები დაწესებულ ნორმატივამდე, რისთვისაც გააუმჯობესოს ვაჭრობის ორგანიზაცია, სისტემატურად შეამციროს შიდასასისტემო გადაგზავნა და დააჩქაროს საქონლის ბრუნვადობა;

ი) გააძლიეროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკთა პასუხისმგებლობა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობისა და სწორად შენახვისათვის, ამასთან სასტიკ პასუხისგებაში მისცეს მეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებიც დაუდევრად და უყაირათოდ ეკიდებიან ამ ფასეულობათა დაცვა-შენახვას.

2. დაევალოთ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ სათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადო წესრიგი დაამყარონ გამოყოფილი ფონდების განაწილებასა და მომხმარებლებისათვის მიწოდებაში.

3. ნება დაერთოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" ჩამოწეროს 518 ათასი მანეთის წარმოებიდან მოხსნილი და ისეთი საქონელი, რომელზედაც მოთხოვნილება არ არსებობს, საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის" მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით იმ ზეგეგმითი დაგროვების ფარგლებში, რაც ფაქტიურად მიღებულია მთლიანად თავის სისტემაში 1970 წლის 1 ოქტომბრისა და 1971 წლის 1 იანვრისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ 1970 წლის ზეგეგმითი დაგროვება არ იქნება საკმარისი ამ საქონლის სრულად ჩამოსაწერად 518 ათასი მანეთის ფარგლებში, ფინანსთა სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ" განიხილონ ეს საკითხი გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" 1970 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 19 ნოემბერი, № 614.

მუხ. 125

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 19 ნოემბრის № 614
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

**რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ორგანიზაციებისა და საწარმოებისა, რომლებსაც ჩამოერთმევათ ან გადაეცემათ სავაჭრო ფუნქციები 1971 წლის 1 იანვრიდან**

| იმ ორგანიზაციების დასახელება, რომლებსაც ჩამოერთმევათ სავაჭრო ფუნქციები | იმ ორგანიზაციების დასახელება, რომლებსაც გადაეცემათ სავაჭრო ფუნქციები |
|---|---|
| „აფხაზსოფლტექნიკის“ გაგრის განყოფილება | „აფხაზსოფლტექნიკის“ სოხუმის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ გალის „ | „აფხაზსოფლტექნიკის“ სოხუმის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ გუდაუთის „ | „აფხაზსოფლტექნიკის“ სოხუმის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ ოჩამჩირის „ | „აფხაზსოფლტექნიკის“ სოხუმის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „აჭარსოფლტექნიკის“ ქობულეთის განყოფილება | „აჭარსოფლტექნიკის“ ბათუმის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილება | „საქსოფლტექნიკის“ თელავის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ გურჯაანის „ | „საქსოფლტექნიკის“ გურჯაანის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ ყვარლის „ | „საქსოფლტექნიკის“ გურჯაანის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ სიღნაღის „ | „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ ლაგოდეხის „ | „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ დუშეთის „ | „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური სავაჭრო შესაზიდი ბაზა |
| „ მცხეთის „ | „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური სავაჭრო შესაზიდი ბაზა |
| სამხრეთ ოსეთის „სოფლტექნიკის“ ლენინგორის განყოფილება | „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკური სავაჭრო შესაზიდი ბაზა |
| „საქსოფლტექნიკის“ გორის განყოფილება | „საქსოფლტექნიკის“ სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ კასპის „ | „საქსოფლტექნიკის“ სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ ახალქალაქის „ | „საქსოფლტექნიკის“ ახალციხის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ ბოგდანოვკის „ | „საქსოფლტექნიკის“ ახალციხის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ ახალციხის „ | „საქსოფლტექნიკის“ ახალციხის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ აბაშის „ | „საქსოფლტექნიკის“ სამტრედიის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ ლანჩხუთის „ | „საქსოფლტექნიკის“ მახარაძის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |
| „ მახარაძის „ | „საქსოფლტექნიკის“ მახარაძის სარაიონთაშორისო სარეალიზაციო ბაზა |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 126 საქართველოს სსრ სასასტუმრო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა იყო გაწეული სასასტუმრო მეურნეობის განვითარებისათვის. მარტო 1961—1969 წლებში საქართველოს სსრ ქალაქებში აშენდა კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის 15 ახალი სასტუმრო, რომელთა საერთო საცხოვრებელი ფართობი შეადგენს 32,1 ათას კუბ. მეტრს 2725 საწოლ-ადგილით; ქალაქის ტიპის დაბების სასტუმროებში საწოლების რაოდენობა 1965—1969 წლებში გადიდდა 120 ადგილით. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა სასასტუმრო მომსახურების ხარისხი.

ქალაქთა სასტუმროების შემოსავალი ერთ საწოლ-დღეღამეში 1969 წელს 1965 წელთან შედარებით გადიდდა 18 კაპიკით, ანუ 14,3 პროცენტით, ხოლო ქალაქის ტიპის დაბებში 1968 წელთან შედარებით — 9 კაპიკით ანუ 8,3 პროცენტით.

ამასთან ერთად, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის სასტუმროების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. 1969 წელს რამდენადმე გაუარესდა მათი საექსპლუატაციო მაჩვენებლები წინა 1968 წელთან შედარებით, კერძოდ, ქალაქის სასტუმროების ერთი საწოლის დატვირთვა 1969 წელს შეადგენდა 305 საწოლ-დღეღამეს ნაცვლად 313-სა, რაც მიღწეული 1968 წელს, ხოლო ქალაქის ტიპის დაბების სასტუმროებისა — 157 საწოლ-დღეღამეს, ნაცვლად 175 საწოლ-დღეღამისა.

1969 წელს ქალაქის სასტუმროების გარესაექსპლუატაციო ხარჯები 1965 წელთან შედარებით გაიზარდა 3,5 კაპიკით ერთ საწოლ-დღეღამეზე, ანუ 11,9 პროცენტით და შეადგენს 32,9 კაპიკს.

არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე უწყებრივი სასტუმროებისა და ჩამოსულთა საერთო საცხოვრებლების მუშაობის შედეგები, რომლებსაც დიდი ზარალი ჰქონდათ.

კომუნალური სასტუმროების ზარალიანობის ლიკვიდაციისა და ჩამოსულთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ფინანსთა სამინისტროს და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბარათი „საქართველოს სსრ სასასტუმრო მეურნეობის შესახებ" დაეგზავნოს ცნობად კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ სასტუმროები და საერთო საცხოვრებლები.

2. კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ კონტროლი სასტუმროების მუშაობისადმი, აამაღლონ სასტუმროების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილების გამოყენების კოეფიციენტი, შეამცირონ სასასტუმრო მეურნეობის ექსპლუატაციის ხარჯები, სისტემატურად განიხილონ სასტუმროების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები და მიიღონ საჭირო ზომები მათი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

3. დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ უწყებრივი სასტუმროები და საერთო საცხოვრებლები ჩამოსულთათვის, შეისწავლონ მათი ზარალიანობის მიზეზები და განახორციელონ სპეციალური ღონისძიებანი ზარალიანობის ლიკვიდაციისათვს.

4. კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნალური სასტუმროების მომზადებას იმისათვის, რომ გადაყვანილ იქნან ისინი მომავალი წლიდან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 14 აგვისტოს სხდომის № 30/VII საოქმო გადაწყვეტილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს, რომ:

— ადგილებისა და ნომრების გაცდენა, რომლებიც დაჯავშნულია მასობრივ ღონისძიებათა მონაწილეებისათვის, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო არ დაუკავებიათ მათ, უნდა აანაზღაურონ ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და საწარმოებმა, რომლებმაც დაჯავშნეს ნომერი ან ადგილი, მაგრამ არა უმეტეს ერთი დღეღამისათვის;

კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ შეიტანოს დადგენილი წესით შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის კომუნალურ სასტუმროებში ცხოვრების წესებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. **მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 19 ნოემბერი, № 618.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 127 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 სექტემბრის № 759 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების დებულების და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობისა და შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 სექტემბრის № 759 დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივნისის № 557 განკარგულება;

— „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 მაისის № 591 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობისა და შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 აგვისტოს № 530 დადგენილების მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „გ“;

— „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 ნოემბრის № 1005 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 4 იანვრის № 3 დადგენილების პუნქტი 2.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 11 სექტემბრის № 759 დადგენილებით:

ა) ძალადაკარგულად არის ცნობილი:

— „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 იანვრის № 87 დადგენილების № 1 დანართის მე-2 პუნქტი (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 მარტის № 169 დადგენილებასთან ერთად), აგრეთვე იმავე დანართის მე-3 პუნქტი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შეკვეთების განაწილებას, განრიგების მიცემას და მომხმარებლების მიჩენას მიმწოდებლებისათვის;

— პუნქტი 1 ცვლილებებისა, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 ივნისის № 648 დადგენილებასთან დაკავშირებით „საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა დადების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 29 ოქტომბრის № 1117 დადგენილებით (დაგზავნილია საქართველოს სსრ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 დეკემბრის № 1771 განკარგულებასთან ერთად);

„სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა დადების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 აგვისტოს № 902 დადგენილების პუნქტები 2, 3, 6, მე-7 პუნქტის 1 აბზაცი, პუნქტები 8, 9, მე-11 პუნქტის მეორე და მეოთხე აბზაცები, მე-13 პუნქტის პირველი, მეორე და მესამე აბზაცები, პუნქტი 14, მე-19 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები და პუნქტი 20 (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 სექტემბრის № 626 დადგენილებასთან ერთად);

— „ქიმიის დარგში სამეცნიერო გამოკვლევების ეფექტიანობის ამაღლების, წარმოებაში ქიმიური მეცნიერების მიღწევათა დანერგვის დაჩქარების და ლაბორატორიული მოწყობილობითა და ხელსაწყოებით სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 27 იანვრის № 50 დადგენილების 26-ე პუნქტის ქვეპუნქტი „ე" (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 მარტის № 129 დადგენილებასთან ერთად);

— პუნქტი 40 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 მარტის № 157 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 247 დადგენილებასთან ერთად;

ბ) მე-2 პუნქტში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 12 ივლისის № 773 დადგენილებისა „სამხედრო ორგანიზაციებისათვის პროდუქციის მიწოდების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივლისის № 1050 განკარგულებასთან ერთად, და ამ ძირითადი პირობების მე-4 პუნქტში სიტყვები: „დებულებისა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ და დებულებისა სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 მაისის № 539 დადგენილებით", შეცვლილია სიტყვებით: „დებულებისა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ და დებულებისა სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 269 დადგენილებით";

გ) „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორებათა შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილების მე-13 პუნქტის მესამე აბზაცი (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 მაისის № 291 დადგენილებასთან ერთად) ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაწესდეს, რომ როდესაც სისტემატურად ხდება გადასახდელების დაგვიანება (დადგენილების ხანგრძლივობის მიუხედავად) მიმწოდებელს უფლება აქვს გადაიყვანოს უპირო სხვაქალაქელი გადამხდელი 3 თვემდე ვადით ანგარიშსწორების საკრედიტივო ფორმაზე, ხოლო იმავქალაქელი გადამხდელი — პროდუქციის წინასწარ განაღდებაზე“.

3. დაევალოს იუსტიციის სამინისტროს (მოწვევა) განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია შეიცვალოს და ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი პურისა და პურფუნთუშეულის ნაწარმის მიწოდების განსაკუთრებული პირობები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აგვისტოს № 605 დადგენილებით, და წარმოუდგინოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წ. 26 ნოემბერი, № 631

## 128 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს (საქმთავარმომარაგება) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს (საქმთავარმომარაგება) შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წ. 3 დეკემბერი, № 635

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმებულია
სსრ კავშირის სახმომარაგებასთან
1970 წლის 4 ივნისს

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 3 დეკემბრის № 635
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო (საქმთავარმომარაგება) არის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხელმძღვანელობას და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს.

2. საქმთავარმომარაგების მთავარი ამოცანებია:

მატერიალურ-ტექნიკური რესურსების იმ ფონდების რეალიზაცია, რომლებიც გამოეყოთ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებს, მშენებლობებს და სხვა ორგანიზაციებს; მომხმარებლების უზრუნველყოფა პროდუქციით, რომლის განაწილება დაკისრებული აქვს მთავარმომარაგებას, აგრეთვე დარგთშორის კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმების შესრულების უზრუნველყოფა;

მოწყობილობის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების საბითუმო ვაჭრობის მოწყობა რესპუბლიკაში;

პროდუქციის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის მოწყობის ღონისძიებათა განხორციელება და ამასთან საწარმოებს შორის პირდაპირი და ხანგრძლივი კავშირურთიერთობის ყოველმხრივ გაფართოება;

მიმწოდებელთა მიერ მომხმარებლებისათვის და საექსპორტოდ პროდუქციის მიწოდების გეგმების დროზე შესრულების კონტროლი;

ზედმეტი გამოუყენებელი პროდუქციის და მასალების ზენორმატიული ნაშთების გამოვლინება და რეალიზაცია საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

წარმოებაში, მშენებლობაში, გადაზიდვისა და შენახვის დროს ნედლეულისა და მასალების დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება საწარმოებთან, მშენებლობებთან და სხვა ორგანიზაციებთან, აგრეთვე დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად;

რესპუბლიკაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემისა და ორგანოების გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

სპეციალიზებული და უნივერსალური დიდად მექანიზებული ბაზებისა და საწყობების რაციონალური ქსელის შექმნა;

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება საქვეუწყებო მომმარაგებელ გამსაღებელ ორგანიზაციათა საქმიანობაში, მათი მატერიალური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება საწარმოთა შორის რაციონალური სამეურნეო ურთიერთკავშირის განხორციელებისათვის, რესპუბლიკაში საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელი მომარაგებისა და სასაქონლო-მატერიალური რესურსების ბრუნვადობის დაჩქარებისათვის;

შრომის და მომარაგების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა საქვეუწყებო ორგანიზაციების საქმიანობაში;

საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, იმ ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში;

ცენტრალური აპარატისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

3. საქმთავარმომარაგება:

ა) განახორციელებს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების გეგმიან ხელმძღვანელობას ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების და რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების გათვალისწინებით;

ბ) უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეკონომიური და ადმინისტრაციული მეთოდების სწორად შეხამებას, მათთვის ეფექტიანი სისტემების დანერგვას ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანებისა და ორგტექნიკის გამოყენებით, მომარაგების მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციული ფორმების გაუმჯობესებას;

გ) უზრუნველყოფს ხელმძღვანელი სამეურნეო კადრებისა და სპეციალისტების შერჩევის, დაწინაურებისა და განაწილების ლენინური პრინციპების განხორციელებას, მთავარ ყურადღებას მიაქცევს ხელმძღვანელი კადრების მიერ პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა და გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმებასა და კონტროლს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ეწევა მუშაობას კადრების აღზრდისათვის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სახელმწიფო ინტერესებისა და დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამებას და თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერებას მისთვის მინდობილი საქმისა და კოლექტივის მუშაობის საერთო შედეგებისათვის;

დ) უზრუნველყოფს დემოკრატიული საწყისების განვითარებას მმართველობაში, შექმნის იმის პირობებს, რომ მშრომელებმა და მათმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოიჩინონ ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მომარაგების გაუმჯობესებასა და მთავარმომარაგების და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში;

მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხებს მთავარმომარაგება გადაწყვეტს საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების წინადადება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა გათვალისწინებით, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ამ ორგანოებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

4. საქმთავარმომარაგება ხელმძღვანელობს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს უშუალოდ ან დადგენილი წესით შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

მთავარმომარაგება, პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველოები, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების დაკომპლექტების სამმართველო და მათდამი დაქვემდებარებული კანტორები, ბაზები და სხვა ორგანიზაციები და საწარმოები შეადგენენ საქმთავარმომარაგების სისტემას.

5. საქმთავარმომარაგება პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების იმ ფონდების რეალიზაციისათვის, რაც საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს გამოეყოთ; საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების უზრუნველყოფისათვის იმ პროდუქციით, რომლის განაწილება დაკისრებული აქვს მთავარმომარაგებას; მოწყობილობის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციისათვის; ზედმეტი და საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამოუყენებელი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გამოვლინებისა და რეალიზაციისათვის; მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რაც შეიძლება უფრო ეკონომიური ორგანიზაციისათვის.

მთავარმომარაგების მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციებს ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე მატერიალური რესურსების იმ ფონდების რეალიზაციისათვის, რომლებიც საწარმოებსა და ორგანიზაციებს გამოეყოთ; ისინი დადებული ხელშეკრულებების ან შეთანხმებების საფუძველზე ასრულებენ სხვა რაიონებში მყოფ მომხმარებელთა დავალებებს—გაუგზავნონ მათ პროდუქციის მცირე პარტიები რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მიმწოდებელი საწარმოებიდან, აგრეთვე გაუწევენ სხვაგვარ მომსახურებას, რომელიც მიეკუთვნება მთავარმომარაგების მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციის საქმიანობას და დაკავშირებულია აღნიშნულ მომხმარებელთა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან.

მთავარმომარაგება სისტემატურად მოახსენებს საქართველოს სსრ მთავრობას და სსრ კავშირის სახმომარაგებას, თუ როგორ სრულდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმები კომიტეტის მიერ დადგენილი წესით.

6. საქმთავარმომარაგება მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეისწავლის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებას მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე; მოაწყობს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მიწოდების გეგმების შესრულების ეკონომიურ ანალიზს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახმომარაგებას წარუდგენს მასალებსა და წინადადებებს მომარაგებაში არსებული ვიწრო ადგილების აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) განსაზღვრავს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებას იმ პროდუქციაზე, რომლის განაწილება სსრ კავშირის სახმომარაგებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაკისრებული აქვს მთავარმომარაგებას; შეადგენს და დაამტკიცებს მომხმარებლების მიხედვით ამ პროდუქციის განაწილების გეგმებს, შეიმუშავებს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მატერიალურ ბალანსებს; სსრ კავშირის სახმომარაგებას წარუდგენს წინადადებებს იმ პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომელსაც მთავარმომარაგება ანაწილებს, სამინისტროებთან, უწყებებთან და საკავშირო მთავარმომარაგება-გასაღების სამმართველოებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს იმ საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების მზა პროდუქციის გასაღების მოწყობაში, რომელიც რესპუბლიკაში მზადდება;

გ) სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით განსაზღვრავს რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სპეციფიცირებულ მოთხოვნილებას საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე, აგრეთვე გაანაწილებს მომხმარებელთა შეკვეთებს და მიამაგრებს მომხმარებლებს მიმწოდებელ საწარმოებს;

დ) დაინტერესებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს წინადადებებს ჯგუფური ასორტიმენტის პროდუქციის მიწოდების წლიური გეგმების პროექტებისათვის, აგრეთვე წინადადებებს დარგთშორის კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმების პროექტებისათვის, თვალყურს ადევნებს იმას, რომ სწორად იქნეს დატვირთული მიმწოდებელი საწარმოების საწარმოო სიმძლავრენი შეკვეთებით მიწოდების დაწესებული გეგმების შესაბამისად;

ე) შეიმუშავებს და სსრ კავშირის სახმომარაგებას წარუდგენს წინადადებებს პროდუქციის დარგთშორის კოოპერირებულ მიწოდებათა სამეურნეო კავშირურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ;

ვ) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ დროზე შესრულდეს:

პროდუქციის მიწოდების, მათ შორის ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში მიწოდების გეგმები და ვალდებულებანი, აგრეთვე პროდუქციის დარგთშორისი კოოპერირებული მიწოდების გეგმები და მიიღებს ზომებს ამ გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის;

საექსპორტო პროდუქციის, აგრეთვე საექსპორტო პროდუქციისათვის მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიწოდების გეგმები და საჭიროების შემთხვევაში წარადგენს მოხსენებებს ექსპორტიორი საწარმოების მიერ აღნიშნული გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

ზ) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით პროდუქციის მიმწოდებლებსა და მიმღებთ შორის რაციონალურ სამეურნეო კავშირურთიერთობის დაწესების და ამასთან საწარმოებს შორის პირდაპირი და ხანგრძლივი კავშირურთიერთობის ყოველნაირად გაფართოების ღონისძიებებს, წარადგენს წინადადებებს ამ საკითხებზე საკავშირო მთავარმომარაგება-გასაღების შესაბა-

მეზ. 128
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის ორგანოებში, უზრუნველყოფს საწარმოებს შორის დამყარებული პირდაპირი და ხანგრძლივი კავშირურთიერთობის სტაბილობას;

თ) მოაწყობს და განახორციელებს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით საწარმოებსა და ორგანიზაციებში არსებული ზენორმატიული, ზედმეტი და გამოუყენებელი მასალების, მოწყობილობისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა, აგრეთვე საქმიანი სამრეწველო ნარჩენების გამოვლინებას, აღრიცხვასა და რეალიზაციას, მოაწესრიგებს მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდებას მათთან არსებული მარაგის გათვალისწინებით;

ი) განახორციელებს იმისადმი კონტროლს, თუ რამდენად სწორად იყენებენ და ინახავენ საწარმოები, მშენებლობები და სხვა ორგანიზაციები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს; შეიმუშავებს რესპუბლიკის სამინისტროებთან, უწყებებთან და საწარმოებთან ერთად ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური რესურსების მომჭირნეობას, წარმოებაში, მშენებლობაში, გადაზიდვისა და შენახვის დროს მათი დანაკარგის შემცირებას;

კ) მოაწყობს და განახორციელებს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით მოწყობილობის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების საბითუმო ვაჭრობას, აგრეთვე საწარმოებსა და ორგანიზაციებში არსებული ზედმეტი და გამოუყენებელი მასალების, მოწყობილობის და სხვა სასაქონლომატერიალური ფასეულობების ვაჭრობას საკომისიო საწყისებზე;

ლ) ეწევა მუშაობას მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემისა და ორგანოების, მატერიალური ფონდების განაწილებისა და რეალიზაციის წესის, მომარაგების მართვისა და მისი ფორმების გაუმჯობესებისათვის, მატერიალურტექნიკური მომარაგების ორგანიზაციათა და მუშაკთა ეკონომიური სტიმულირებისათვის, აგრეთვე სპეციალიზებული და უნივერსალური ბაზებისა და საწყობების რაციონალური ქსელის შექმნისათვის და საჭირო შემთხვევებში სსრ კავშირის სახმომარაგებას წარუდგენს წინადადებებს ამ საკითხებზე;

მ) საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვადობის დაჩქარება და მიმოქცევის ხარჯების შემცირება სატრანსპორტო-სასაწყობო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის არარაციონალური გადაზიდვის აღმოფხვრის, ზედმეტი და პარალელურად მოქმედი მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების ლიკვიდაციის ხარჯზე, ამასთან ყოველნაირად აამაღლებს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიურ ეფექტიანობას;

ნ) განსაზღვრავს მომხმარებელთა მონაწილეობით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ოპტიმალურ ფორმას, დაადგენს, თუ რა პროდუქცია და რა რაოდენობით უნდა მიაწოდოს მათ გამოყოფილი ფონდების ფარგლებში ბაზების, საწყობებისა და მაღაზიების მეშვეობით ან ტრანზიტად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო) ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ ხელშეკრულებების დადებას პროდუქციის მიწოდების შესახებ, აგრეთვე იმ მომხმარებლებისათვის პროდუქციის მცირე პარტიებად გაგზავნის უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც იმყოფებიან როგორც რესპუბლიკაში, ისე ქვეყნის სხვა რაიონებში, კონტროლს გაუწევს ამ ხელშეკრულებათა შესრულებას;

პ) საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად მიიღებს ზომებს მომხმარებლებისათვის პროგრესული და ეკონომიური სახეობის პროდუქციის მიწოდებისათვის, აგრეთვე გამოძებნის დამატებით რესურსებს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების გასადიდებლად;

ჟ) განახორციელებს პროდუქციის, საქმიანი ნარჩენების დეცენტრალიზებულ დამზადებას (შესყიდვას), აგრეთვე მოაწყობს მათ სამრეწველო დამუშავებას იმ მიზნით, რომ გადიდდეს საჭირო სახეობის ნედლეულის, მასალებისა და ნაკეთობათა რესურსები მომხმარებელთა მოსამარაგებლად;

რ) სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით განახორციელებს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების დაკომპლექტებას მოწყობილობით, არმატურით, ხელსაწყოებით, ავტომატიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებით;

ს) შეიმუშავებს და სსრ კავშირის სახმომარაგებას წარუდგენს წინადადებებს საქვეუწყებო ბაზებსა და საწყობებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მარაგის ნორმატივების შესახებ, აგრეთვე წინადადებებს მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების შემცირების შესახებ სსრ კავშირის სახმომარაგების ნომენკლატურის მიხედვით;

ტ) მონაწილეობას მიიღებს მატერიალური რესურსების აღწერის შედეგების მიხედვით მასალებისა და მოწყობილობის ფონდების დაზუსტებაში, რასაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ახორციელებს;

უ) საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად განიხილავს და სსრ კავშირის სახმომარაგებას წარუდგენს წინადადებებს ისეთი პროდუქციის გამოშვების შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ, რომელზედაც მოთხოვნილება არ არის, აგრეთვე მის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის, სათბობისა და მასალების მიწოდების შეწყვეტის შესახებ;

ფ) მოაწყობს გარეგნული (სატრანსპორტო) ტარის განმეორებით გამოყენებას, დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის რემონტსა და გადამუშავებას, საწარმოებისა და ორგანიზაციების მომარაგებას ახალი და დასაბრუნებელი ხის, ქაღალდის, მუყაოსა და ლითონის გარეგნული ტარით და მის გასაღებას; კონტროლს გაუწევს სამინისტროებისა და უწყებების ტარის საწარმოების მშენებლობას და ტარის წარმოებას, ახალი ეკონომიური სახეობის ტარის და ტარის მასალების ხარჯვის ნორმების დანერგვას, ტარის უნიფიკაციას და მის სწორად გამოყენებას საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ) დადგენილი წესით მოაწყობს ხე-ტყის, საშენი მასალების, სტანდარტული სახლების საცალო ვაჭრობას და მიიღებს ზომებს საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესასრულებლად;

ღ) უზრუნველყოფს მეორეული ნედლეულის (გარდა ლითონებისა) დამზადებას, პირველადს დამუშავებას და გადამუშავებას დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით; შეიმუშავებს და დაამტკიცებს რესპუბლიკის ორგანიზაციების მიხედვით მეორეული ნედლეულის ჩაბარებისა და დამზადების გეგმებს, აგრეთვე ამ ნედლეულის განაწილების გეგმებს;

ყ) უზრუნველყოფს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამომსახურეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მომარაგებას სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლით და საცავი ხელსაწყოებით, აგრეთვე კონტროლს გაუწევს იმას, რომ რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და დანერგონ ახალი სახეობის აღნიშნული ნაკეთობანი და მათ დასამზადებლად საჭირო ქსოვილები და სხვა მასალები;

შ) მოაწყობს დადგენილი წესით სამეცნიერო-საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების მომარაგებას საბითუმო ვაჭრობის გზით.

7. საქმთავარმომარაგება:

ა) შეიმუშავებს საქონელბრუნვის, შრომის, კაპიტალური მშენებლობის გეგმებს, საფინანსო, საკრედიტო და სხვა გეგმებს მთლიანად რესპუბლიკის მთავარმომარაგებისათვის და დაუმტკიცებს ამ გეგმებს მის საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს, უზრუნველყოფს ამ გეგმების შესრულებას;

ბ) განიხილავს და დადგენილი წესით დაამტკიცებს სატიტულო სიებს და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ბაზების, საწყობების და სხვა ქვესაუწყებო ობიექტების მშენებლობისათვის, ამასთან უზრუნველყოფს ტიპობრივი პროექტების მაქსიმალურად გამოყენებას;

გ) დააფინანსებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მათი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესება; უზრუნველყოფს დაგროვებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმების შესრულებას, დადგენილი წესით შექმნის ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად;

დ) მოაწყობს დამტკიცებული გეგმების შესაბამისად ახალი ბაზების, საწყობებისა და მაღაზიების, აგრეთვე ტარის დასამზადებელ საწარმოთა მექანიზმებისა და მოწყობილობის სარემონტო სახელოსნოების და სხვა ობიექტების მშენებლობას და მოქმედი ასეთი საწარმოების გაფართოებას, რეკონსტრუქციას და კაპიტალურ რემონტს;

ე) მოაწყობს და განახორციელებს საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღების, ბაგების, პიონერთა ბანაკებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობასა და რემონტს.

ვ) შეიმუშავებს საქვეუწყებო ბაზებიდან და საწყობებიდან რკინიგზის, წყალთა და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის გეგმებს;

№ 6 ეროვნული ბიბლიოთეკა

განახორციელებს მომხმარებლებისათვის პროდუქციის ცენტრალიზებულად მიწოდების განვითარების ღონისძიებებს;

ზ) უზრუნველყოფს სამეურნეო ანგარიშის დანერგვას და განმტკიცებას საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობაში, განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მათი მატერიალური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერება საწარმოთა შორის რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის ორგანიზაციისა და მომხმარებელთა შეუფერხებელი უზრუნველყოფის საქმეში, სასაქონლო მატერიალურ-ფასეულობათა მიწოდების, მათი ბრუნვადობის დაჩქარების, ძირითადი და საბრუნავი ფონდების ეფექტიანად გამოყენების, მიმოქცევის ხარჯების შემცირების შესაბამისად;

თ) მოაწყობს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვას, აღრიცხვის მექანიზაციისა და მოწინავე მეთოდების და ფორმების დანერგვის საფუძველზე, განიხილავს და დაამტკიცებს მათს საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს; უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვას, განახორციელებს უწყებრივ კონტროლს და მოაწყობს ამ ორგანიზაციებისა და საწარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს;

ი) მოაწყობს და განახორციელებს სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს ეკონომიკის, დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის დარგში, დანერგავს მთავარმომარაგების, მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობაში შრომისა და მართვის მეცნიერულ ორგანიზაციას, შექმნის მომარაგების მართვის ავტომატიზებულ სისტემებს ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, მიიღებს ზომებს, რათა ჩაბმულ იქნან ამ სისტემაში რესპუბლიკის საწარმოები და ორგანიზაციები;

კ) უზრუნველყოფს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას; შეისწავლის კადრებს, უზრუნველყოფს გამოცდილი კადრებისა და ახალგაზრდა ნიჭიერ მუშაკთა სწორად შეხამებას, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში; განახორციელებს მუდმივი კადრების შექმნის ღონისძიებებს;

ლ) კონტროლს გაუწევს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებას, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა გატარებას, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვას;

მ) მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკთა შორის და შეაჯამებს შეჯიბრების შედეგებს; სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მიანიჭებს გამარჯვებულ კოლექტივებს მთავარმომარაგებისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშებს და ფულად პრემიებს, მიაკუთ-

მეხ. 128
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვნებს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს „კომუნისტური შრომის კოლექტივის“ საპატიო წოდებას, აგრეთვე საპატიო სიგელებით დააჯილდოებს მთავარმომარაგების და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკებს;

ნ) განაზოგადებს და გამოიყენებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას; ხელმძღვანელობს გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

მოაწყობს მუშაობას საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის წესების შესრულებისათვის;

ო) მოაწყობს მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, მიაღწევს ამ წერილებში დასმული საკითხების სწორად გადაჭრას და მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებთან დაკავშირებით გამოვლინებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი აქვს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

პ) დადგენილი წესით წარადგენს სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესრულებისა და მისი საქმიანობის სხვა სახეობათა შესახებ.

8. საქმთავარმომარაგება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახმომარაგების დადგენილებებით, განკარგულებებით, ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით; უზრუნველყოფს კანონმდებლობის სწორად გამოყენებას მთავარმომარაგებისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

მთავარმომარაგება განაზოგადებს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე არსებული კანონმდებლობის შეფარდების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს ამ კანონმდებლობის გაუმჯობესების შესახებ და განსახილველად წარუდგენს ამ წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახმომარაგებას.

9. საქმთავარმომარაგება წარმოადგენს სამეურნეო ანგარიშის ორგანოს, მისი შენახვა ხდება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც დადგენილი წესით გადაირიცხავენ მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები და საწარმოები, იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე, აქვს მისთვის მიჩენილი ძირითადი და საბრუნავი სახსრები და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.

10. საქმთავარმომარაგებას უფლება ენიჭება:

ა) შეამოწმოს სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ დადგენილი წესით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებში, მშენებლობებზე, ბაზებში, საწყობებსა და ორგანიზაციებში, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავად, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ტარის, მაკომპლექტებელი ნაკეთობებისა და მოწყობილობის შენახვისა და გამოყენების სისწორე, მატერიალური რესურსების მარაგის და ხარჯვის ნორმების დაცვა დადგენილი წესით, მისცეს საწარმოებსა და ორგანიზაციებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი დაშვებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ;

ბ) მოიწვიოს საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე მათთან შეთანხმებით ცალკეული სპეციალისტები მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების შესამუშავებლად და მონაწილეობა მიაღებინოს მათ შემოწმებაში, რასაც მთავარმომარაგება ახორციელებს მატერიალური რესურსების გამოყენებისა და შენახვის სისწორის და მარაგთა ნორმების დაცვისა და მათი ხარჯვის საქმეში;

გ) ისესხოს ცალკეული საწარმოებისა, მშენებლობებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან, მათი ხელმძღვანელების თანხმობით და ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს მათს საწარმოო საქმიანობას, ნედლეული, მასალები, სათბობი და მაკომპლექტებელი ნაკეთობანი, რათა დროებითი დახმარება გაუწიოს სხვა საწარმოებს, მშენებლობებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ამას საჭიროებენ, ამასთან უზრუნველყოს ნასესხები მატერიალური რესურსების დაბრუნება დათქმულ ვადებში;

დ) აძლიოს საწარმოებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, მთავარმომარაგების კომპეტენციის ფარგლებში, შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი საწარმოო- ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის გაგზავნის წესისა და ვადების რიგითობის საკითხებზე, პროდუქციის მიწოდების მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და არ დაუშვას საკავშირო მთავარმარაგგასაღებათა მიერ ამ საკითხებზე მიცემული მითითებების დარღვევა;

ე) გადაანაწილოს საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოგება და საამორტიზაციო ანარიცხები მთლიანად მთავარმომარაგების ხაზით ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულების შეუცვლელად;

ვ) დადგენილი წესით გადაიყვანოს მოქმედი საქვეუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან მეორეში სამუშაოთა მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით და მიაკუთვნოს ახლადშექმნილი ორგანიზაციები და საწარმოები ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ჯგუფს, თანახმად ამ ორგანიზაციებისა და საწარმოების შრომის ანაზღაურების ჯგუფების მიხედვით, განაწილების დამტკიცებული მაჩვენებლებისა, ხელფასის ფონდისა და მმართველობის აპარატის შენახვის იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც მათ დაუმტკიცდათ მიმდინარე წლისათვის;

ზ) მიიღოს:

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან სტატისტიკური ცნობები, რომლებიც საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესამუშავებლად და მათი შესრულების შესამოწმებლად;

სახელმწიფო ბანკის შესაბამისი კანტორებისაგან — ცნობები, თუ რა მდგომარეობაშია ნორმირებული სახსრები და ზენორმატიული მარაგი რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან, აგრეთვე უშუალოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმების შესამუშავებლად, სარეალიზაციოდ და შესრულების შესამოწმებლად საჭირო მთელი მასალები, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების, პროდუქციის მიწოდების გეგმების, საწარმოებისათვის მისი გაგზავნის გრაფიკების ჩათვლით და სხვა საინფორმაციო მასალები.

11. საქმთავარმომარაგება მოისმენს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლების, აგრეთვე საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებებს, მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და მისცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად ამ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ.

12. საქმთავარმომარაგებას სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქმთავარმომარაგების უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. უფროსის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქმთავარმომარაგების უფროსი.

საქმთავარმომარაგების საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა მიმართ მთავარმომარაგების უფროსი ახორციელებს უფლებებს, რაც მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ მინისტრებს.

13. საქმთავარმომარაგების უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას უწევს მთავარმომარაგებისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობას;

მთავარმომარაგების კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის სახმომარაგების დადგენილებების, განკარგულებების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ამოწმებს მათს შესრულებას.

ბ) მოაწყობს და გადააკეთებს მთავარმომარაგებისათვის დაწესებული ხელფასის ფონდის და მმართველობის აპარატის შესანახ ასიგნებათა ფარგლებში და გააუქმებს კანტორებს, ბაზებს, საწყობებს, მაღაზიებსა და სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებს;

გ) დაამტკიცებს მთავარმომარაგების ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურისა და მუშაკთა რაოდენობის შესაბამისად, აგრეთვე საქვეუწყებო ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციების სტრუქტურასა და საშტატო განრიგს ხელფასის ფონდის და მმართველობის აპარატის შესანახ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, რაც დამტკიცებულია მთლიანად მთავარმომარაგების ხაზით.

დ) დაამტკიცებს დებულებებს (წესდებებს) საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების შესახებ;

ე) დანიშნავს და დაითხოვს, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, მთავარმომარაგების აპარატის და საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაკებს, თანამდებობათა დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

ვ) გასცემს საქმთავარმომარაგების სახელით მინდობილობებს, გახსნის ბანკებში ანგარიშებს, განაგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მთავარმომარაგების ქონებასა და სახსრებს.

14. საქმთავარმომარაგების უფროსს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა მთავარმომარაგებაზე დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულებისადმი, იგი დააწესებს მთავარმომარაგების უფროსის მოადგილეების, სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საქმთავარმომარაგების ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობისათვის.

15. საქმთავარმომარაგებაში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მთავარმომარაგების უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მთავარმომარაგების უფროსის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

მთავარმომარაგების კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მთავარმომარაგების კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ეწყობა, განიხილავს რესპუბლიკაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხებს, ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში და საექსპორტოდ პროდუქციის მიწოდების, მთავარმომარაგებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, მთავარმომარაგებისადმი უმნიშვნელოვანესი ბრძანებების პროექტებს, მოისმენს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების, აგრეთვე მთავარმომარაგების ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა მოხსენებებს და ანგარიშებს;

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მთავარმომარაგების უფროსის ბრძანებებით, მთავარმომარაგების უფროსსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, უფროსი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახმომარაგებას, ხოლო კოლეგიის წევრეებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახმომარაგებას.

16. საქმთავარმომარაგება დადგენილი წესით მოიწვევს აქტივის თათბირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებზედაც განიხილავენ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უმნიშვნელოვანეს საკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხებს, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე — მთავარმომარაგების და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

17. საქმთავარმომარაგების სისტემაში არის უწყებრივი არბიტრაჟი, რომელიც განიხილავს მთავარმომარაგების საქვეუწყებო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის წამოჭრილ სამეურნეო დავას. მთავარმომარაგების არბიტრაჟს უფლება აქვს გასცეს ბრძანებები მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულების შესახებ.

18. მთავარმომარაგების ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებით.

19. საქმთავარმომარაგებას აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 129 საქართველოს სსრ საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების ცენტრალიზებული შენახვის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მიღებული ზომების მიუხედავად, რესპუბლიკის დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირადი შემადგენლობის იმ დოკუმენტური მასალების შენახვასა და გამოყენებას, რომლებიც მოქალაქეთა შრომითი საქმიანობის სტაჟის დადგენის ძირითად წყაროს წარმოადგენენ, არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

მეტ წილ საქალაქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ გააჩნიათ სათანადო საცავები და მოწყობილობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების ხანგრძლივი შენახვა (40 წლის განმავლობაში), არა ჰყავთ სპეციალური შტატის მუშაკები, რომლებიც მუდმივად იმუშავებდნენ ამ მასალების დაცვა-შენახვის, აღრიცხვის მოწესრიგებისა და საცნობარო მიზნებით გამოყენების უზრუნველყოფის საკითხებზე.

ასეთი მდგომარეობის გამო იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც ცალკეულ დაწესებულებებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იკარგება, ფუჭდება და ილუპება პირადი შემადგენლობის საბუთები, რაც შეუძლებელს ხდის მოქალაქეთა შრომითი საქმიანობის სტაჟის დადგენას.

ამავე დროს რესპუბლიკის სახელმწიფო არქივებისა და მათი ფილიალების დიდი უმეტესობა უკვე უზრუნველყოფილია ახლად აშენებული ან გადაკეთებული არქივსაცავებით, რომლებიც საკმარისია არა მარტო იმისათვის, რომ აწარმოონ გეგმაზომიერი მუშაობა მათ დასაკომპლექტებლად სათანადო დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საერთო საქმიანობის დოკუმენტაციით, არამედ იმისათვისაც, რომ მოეწყოს პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების ვადამდე მიღება და დაცვა-შენახვა, მაგრამ მათ არ ჰყავთ საჭირო საშტატო პერსონალი, რომელიც შეასრულებდა დიდი მოცულობის საცნობარო მუშაობას.

რესპუბლიკის საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების სრული დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის მიზნით და იმისათვის, რომ უკეთ მოწესრიგდეს მოქალაქეთა შრომითი საქმიანობის საბუთების გაცემა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებსა და მათ ფილიალებში, გარდა რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივებისა, რომლებიც ქ. თბილისში მდებარეობენ, რესპუბლიკის ყველა საქალაქო, რაიონული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაბო და სასოფლო დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების ვადამდე მიღება, ცენტრალიზებული შენახვა და გამოყენება და ამირიდან მიღებული იქნეს ისინი სახელმწიფოს მიერ შესანახად ადგილებზე შენახვის 5 წლის გასვლის შემდეგ.

2. იმისათვის რომ მოეწყოს პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების ვადამდე მიღება, ცენტრალიზებული შენახვა, აღრიცხვა და გამოყენებულ იქნეს ისინი შრომითი საქმიანობისა და სხვა უფლებრივ საკითხებზე ცნობების შესადგენად და მშრომელებისათვის მისაცემად, შეიქმნას საქართველოს სსრ ყველა ზემოაღნიშნული სახელმწიფო არქივთან და რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივების ფილიალებთან პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების განყოფილებები სამეურნეო საწყისებზე, ამასთან მათი შენახვა მოხდეს იმ სახსრების ხარჯზე, რასაც მათ ყოველწლიურად გადაურიცხავენ შესაბამისი დაწესებულებები, ორგანიზაციები, საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთა პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალები მიღებულია სახელმწიფოს მიერ შესანახად.

3. დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მათ შორის იმ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, რომელთა საერთო დოკუმენტაცია არ უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფოს მიერ შესანახად, პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალები ყოველწლიურად მოიყვანონ სათანადო წესრიგში და ადგილებზე შენახვის 5 წლის გასვლის შემდეგ ჩააბარონ შემდგომ შესანახად და გამოსაყენებლად რესპუბლიკის შესაბამის სახელმწიფო არქივებსა და მათ ფილიალებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს 1971 წლისათვის ხელფასის ფონდი — 150 ათასი მანეთი, 1971 წლის აპრილიდან სახელმწიფო არქივებთან და მათს ფილიალებლათ პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების განყოფილებათა პერსონალის შესანახად.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ საკითხი და, სადაც ეს საჭიროა, ორი თვის ვადაში გამოუყონ შესაბამის რაიონულ და საქალაქო სახელმწიფო არქივებს ახალი ან დამატებითი სადგომები, რომლებიც გამოსადეგი და საკმარისი იქნება პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების მოსათავსებლად და შესანახად, დამატებით პერსონალის სამუშაოდ და მთხოვნელთა მისაღებად.

6. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი, რათა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს გამოეყოს დროებით, დაპროექტებული ხუთსართულიანი შენობის აგებამდე, სათანადო ფართობი

პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების მოსათავსებლად და გამოსაყენებლად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს შეიმუშაოს და დაუგზავნოს შესაბამის დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს მეთოდური მითითებანი პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების შერჩევისა და ცენტრალიზებულ შესანახად ჩაბარების წესის შესახებ.

8. ანგარიშსწორების წესის და იმ საფასურის ოდენობის დადგენა, რაც დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა, საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გადაიხადონ რესპუბლიკის სახელმწიფო არქივებსა და მათ ფილიალებში პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების ცენტრალიზებული შენახვისა და გამოყენებისათვის, დაევალოთ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

9. სამინისტროების, უწყებების და საკავშირო, რესპუბლიკური და საოლქო დაქვემდებარების დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირადი შემადგენლობის დოკუმენტური მასალების სრულ დაცვა-შენახვას თავიანთ არქივებში 40 წლის მანძილზე, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის დებულებით, და უზრუნველყონ ცნობების, ასლებისა და ამონაწერების დაუბრკოლებლივ გაცემა მოქალაქეებისა და დაწესებულებებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წ. 17 დეკემბერი, № 661.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 130 მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო თანხების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმ პირუტყვის შესასყიდი ფასების გადიდებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოსახლეობა მიჰყიდის სახელმწიფოს, დაწესდეს 1971 წლის 1 იანვრიდან მოქალაქეთა კუთვნილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხის, ღორის, ცხენის, ჯორისა და ვირის ახალი სადაზღვევო ფასები, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1971 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 8 თებერვლის № 89 დადგენილების № 3 დანართი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. **მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 17 დეკემბერი, № 662

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 17 დეკემბრის № 662
დადგენილების დანართი

**მოქალაქეთა კუთვნილი ერთი სული პირუტყვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის სადაზღვევო თანხის ოდენობა მანეთობით**

ყ ვ ე ლ გ ა ნ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

| | |
|---|---|
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 160 მანეთი |
| ღორი | 90 „ |
| ცხვარი და თხა | 22 „ |
| ცხენი და ჯორი | 60 „ |
| ვირი | 10 „ |

შენიშვნა: 1-დან 2 წლამდე ცხენის, ჯორის და ვირის, აგრეთვე 6 თვიდან 1 წლამდე ასაკის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევის სადაზღვევო თანხები დაწესდება შესაბამისი სახეობის მოზრდილი პირუტყვის დაზღვევის სადაზღვევო თანხების 50 პროცენტის ოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. **მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 131 სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ

„სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 26 ნოემბრის № 947 დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 16 მაისის № 284 დადგენილების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ იმ ძირითადი ფონდების გადაფასება, რომლებიც ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბალანსზე, და მათი გაცვეთის განსაზღვრა 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით 1972 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე.

რჩევა მიეცეთ კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოაწყონ გადაფასება და განსაზღვრონ არასამეურნეო ანგარიშის დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების გაცვეთა იმავე ვადებში.

ძირითადი ფონდების გადაფასება განახორციელონ იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად.

ძირითადი ფონდების აღნიშნული გადაფასების მოწყობისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მოაწყონ 1971—1972 წლებში ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების გარეგანი კეთილმოწყობის ყველა ობიექტის (გზების, ტროტუარების, წყალსადინარების, ხიდების, სანაპიროების, გადასასვლელების, პარკების, სკვერების, ბულვარების, ჰიდროტექნიკური და სხვა ნაგებობების) ინვენტარიზაცია, აწარმოონ ინვენტარიზაციის საფუძველზე ამ ობიექტების შეფასება თანამედროვე აღდგენითი ღირებულების მიხედვით და განსაზღვრონ მათი გაცვეთის პროცენტი 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით.

3. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მოიწვიონ 1971—1972 წლებში ადგილობრივი დაქვემდებარების იმ საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის დახმარების გასაწევად ამ დადგენილებით გათვალისწინებული ძირითადი ფონდების გადაფასების მოწყობაში, რომლებსაც არა ჰყავთ სპეციალისტები ამ სამუშაოს შესასრულებლად, რაიონის ან ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე სხვა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული სპეციალისტები ვადით არა უმეტეს ორი თვისა, ამასთან შეუნარჩუნონ მათ ხელფასი, რასაც ისინი სამუშაო ადგილზე იღებენ.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და საქართველოს სსრ სახმშენს გამოიყენონ 1971—1973 წლებში ძირითადი ფონდების ინვენტარიზაციისა და გადაფასების მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად ცალკეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები პენსიონერთა რიცხვიდან, რომლებიც იღებენ მოხუცებულობის სახელმწიფო პენსიას, ამასთან შეუნარჩუნდეთ მათ ამ სამუშაოების მთელი პერიოდის განმავლობაში პენსიები იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 დეკემბრის № 995 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით.

5. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1970 წლის 26 ნოემბრის № 947 დადგენილებით:

ა) დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს დაბეჭდოს და 1972 წლის 1 მარტამდე დაგზავნოს შენობათა, ნაგებობათა და გადამცემ მოწყობილობათა აღდგენითი ღირებულების გამსხვილებული მაჩვენებლების კრებულები და მანქანების, მოწყობილობის და სატრანსპორტო საშუალებათა აღდგენითი ღირებულების მიხედვით გადაფასებისათვის საჭირო საფასარები, აგრეთვე სხვა სააღრიცხვო სტატისტიკური დოკუმენტაცია, რაც საჭიროა 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით ძირითადი ფონდების გადაფასებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად *(ინსტრუქციები, მითითებები, გადაფასების უწყისების ბლანკები, ანგარიშები გადაფასების შედეგების შესახებ).*

*დააწესა, რომ ძირითადი ფონდების გადასაფასებლად საჭირო კრებულებისა* და საფასარების და საბიუჯეტო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების გადაფასებისა და გაცვეთის განსაზღვრის ინსტრუქციების რეალიზაცია იწარმოებს ფასგადახდით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის სისტემის წიგნის სავაჭრო ქსელის მეშვეობით;

ბ) დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს გეგმებში, რომ გამოეყოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს ძირითადი ფონდების გადაფასების ნაბეჭდი მასალების გამოსაცემად 1.700 ტონა ქაღალდი, მათ შორის 1.100 ტონა 1971 წელს და 600 ტონა 1972 წელს.

დაავალა სსრ კავშირის სახმომარაგებას გამოუყოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს ამ მიზნებისათვის 300 ტონა მუყაოს ქაღალდი ბარათებისათვის, მათ შორის 1971 წელს 150 ტონა და 1972 წელს 150 ტონა.

გ) დააწესა, რომ ამ დადგენილებით დაწესებული ძირითადი ფონდების გადასაფასებლად საჭირო კრებულებისა და საფასარების შედგენის ხარჯების და მისი მოწყობის ხარჯების დაფინანსება, აგრეთვე ასიგნებათა გამოყოფა სსრ

№ 6/
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის ამ გადაფასების მომზადებისა და მოწყობის სამუშაოების შესასრულებლად და შესაბამისი მასალების შესამუშავებლად განხორციელდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 აპრილის № 252 დადგენილების 4, 11 (მეოთხე აბზაცი) და 12 პუნქტებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 24 დეკემბერი, № 668.

## 132 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესის, აგრეთვე სანაშენო პირუტყვის, ტყისა და სხვა გარეული ნადირის შესყიდვის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 29 დეკემბერი, № 675

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1970 წლის 29 დეკემბრის № 675
დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნ უ ს ხ ა

## საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებიც გაუქმდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 627 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. პუნქტი 6 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 10 აპრილის № 625 დადგენილებისა „მეცხოველეობის განვითარების 1939 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 12, მუხ. 51).

2. „1940 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო მიწოდების ჩატარების წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 17 სექტემბრის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 10 ოქტომბრის № 1937 დადგენილების მე-3 პუნქტის პირველი აბზაცი (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 21, მუხ. 89).

3. „ცხოველდამზადების საქართველოს რესპუბლიკური კანტორის 1946-1947 წლების მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 იანვრის № 41 დადგენილების მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი.

4. პუნქტი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 23 მაისის № 623 დადგენილებისა „ბრუცელოზის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

5. „კოლმეურნეობების ჯიშიანი პირუტყვით უზრუნველყოფის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 4 სექტემბრის № 1202 დადგენილების 1 პუნქტის ქვეპუნქტი „დ“ და მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „გ“.

6. პუნქტი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 3 ივნისის № 489 დადგენილებისა „იმ მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც განაცხადეს სურვილი გადასახლდნენ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების კოლმეურნეობებში“, გადასახლებულთა მიერ პირუტყვის ჩაბარებისა და ჩასახლების ადგილებში მისი მიცემის წესის ნაწილში.

7. დანართი № 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოთა ნატურსაზღაურის გაუქმების, ამ პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების ნაწილში, რომლებსაც ეკისრებათ პირუტყვის, ფრინველისა და კვერცხის მიღება“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 14 სექტემბრის № 600 დადგენილება „1963 წლის მეორე ნახევარში პირუტყვის გადამუშავებისა და ხორცისა და რძის პროდუქტების შენახვის ღონისძიებათა შესახებ“.

9. „ხორცის მრეწველობის საწარმოებისა და პირუტყვდამამზადებელი საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 1 ივნისის № 328 დადგენილების 1 პუნქტის ქვეპუნქტები „დ“ და „თ“.

№ 6
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 133 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არქიტექტურულ-დაგეგმარების ორგანოების და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინსპექციების შექმნისა და განმტკიცების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხი, ამაღლდეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების არქიტექტურულ-დაგეგმარების ორგანოების როლი და გაფართოვდეს მათი უფლებები ქალაქმშენებლობის, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების საკითხების გადაწყვეტაში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილება გარდაიქმნას მთავარ არქიტექტურულ-დაგეგმარების სამმართველოდ ამ განყოფილების დამტკიცებული შტატებისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

2. გარდაიქმნას ქუთაისის, რუსთავის, გორისა და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული არქიტექტურის ორგანოები არქიტექტურულ-დაგეგმარების განყოფილებებად.

წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს გარდაქმნან დადგენილი წესით სოხუმის, ბათუმის და ცხინვალის საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული არქიტექტურის ორგანოები არქიტექტურულ-დაგეგმარების განყოფილებებად.

3. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დააწესონ 1971-1972 წლების განმავლობაში სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინჟინერ-ინსპექტორის თანამდებობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შტატებისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

4. ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს 1972-1973 წლების ბიუჯეტის პროექტში არქიტექტურულ-დაგეგმარების ორგანოების დასაკომპლექტებლად დამატებითი საშტატო თანამდებობანი, სსრ კავშირის სახელმწიფო სამოქალაქო მშენებლობის კომიტეტის მიერ რეკომენდებული სანიმუშო სტრუქტურისა და შტატის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წ. 30 დეკემბერი, № 676

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 134 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს სტრუქტურის გამარტივების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს სტრუქტურის გამარტივების, შესასრულებელ გეოლოგიურ-საძიებო და სადაზვერვო სამუშაოთა სპეციალიზაციის და აპარატის გაიაფების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს 1971 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს შემადგენლობაში მყოფი ტრესტი „საქქვანახშირძიება“, ხოლო ამ ტრესტის სისტემაში შემავალი გეოლოგიური პარტიები უშუალოდ დაუმორჩილდეს გეოლოგიის სამმართველოს.

2. სამსახურებრივი სადგომები, რომლებიც ტრესტ „საქქვანახშირძიებას“ უჭირავს, დარჩეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს განკარგულებაში, სადაც მოთავსდეს ლითონების კომპლექსური გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიცია, რომელიც 1971 წლის 1 იანვრიდან იქმნება.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს უფროსმა ამხ. ბ. ი. გუჯეჯიანმა მოაწყოს სამუშაოზე „საქქვანახშირძიების“ ტრესტის აპარატის მუშაკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

ქ. თბილისი, 1970 წ. 30 დეკემბერი, № 678

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 135 საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ამ ბოლო წლებში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვა დაჩქარებული ტემპით იზრდება, შესრულებულია საქონელბრუნვის 1966-1970 წლების გეგმა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქონელბრუნვის სტრუქტურა, ამაღლდა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურა. ქალაქად და სოფლად გაფართოვდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განვითარდა საწყობებისა და სამაცივრო მეურნეობის მშენებლობა. მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაციაში საქონელბრუნვის ზრდა ხუთწლედში შეადგენს 63 პროცენტს, ნაცვლად დაგეგმილი 43.5 პროცენტისა.

საქონელბრუნვის მიმდინარე წლის 11 თვის ძირითადი გეგმა შესრულებულია 101,3 პროცენტით, დამატებითი დავალების გათვალისწინებით კი — 98,7 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით იგი 7,8 პროცენტით გაიზარდა.

მაგრამ რესპუბლიკაში მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვა ჯერ კიდევ ჩამორჩება და შეადგენს საერთო-საკავშირო დონის მხოლოდ 77 პროცენტს.

სახალხო მოხმარების საქონელზე გადიდებული მოთხოვნის არასრულად დაკმაყოფილება, როდესაც მოსახლეობას დიდძალი ფულადი სახსრები აქვს, მოითხოვს ამ საქონლის განსაკუთრებით სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, წარმოების ძირეულად გაფართოებას და ამ საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

არის ფაქტები, როდესაც სავაჭრო ქსელში არ მოიპოვება ისეთი საქონელი, რომელიც საკმაო რაოდენობით მზადდება. არ არის მოწესრიგებული ხილისა და ბოსტნეულის სახელმწიფო ვაჭრობა, ჯერ კიდევ ცოტაა საზოგადოებრივი კვების საწარმოები მოაგარაკეთა და უმაღლესი, საშუალო სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მომსახურებისათვის; მთელ რიგ შემთხვევებში საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დამზადებული კერძების ასორტიმენტი განსაზღვრულია, ხოლო საჭმლის ხარისხი დაბალია. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილში საკმარისი არ არის მომსახურების კულტურის დონე, არ არის აღმოფხვრილი სახელმწიფო საცალო ფასების და ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები.

სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნას საქონელზე და ამიტომ მათ მიერ მრეწველობისათვის მიცემული შეკვეთები ყოველთვის როდია დასაბუთებული, ისინი ჯერ კიდევ სუსტ ზემოქმედებას ახდენენ მრეწველობაზე და ვერ აღწევენ საქონლის ასორტიმენტის გაფართოებას, ხარისხის გაუმჯობესებას და მიწოდების გეგმების შესრულებას; სრულად არ არის გამოყენებული საქონელბრუნვაში საქონლის დამატებითი რესურსების და ზეგეგმითი სასაქონლო მარაგის მოზიდვის შესაძლებლობანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასაკმაოდ წარმოებს საქონლის ბრაკერაჟი საცალო ვაჭრობისა და[illegible]თუმო ორგანიზაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩამორჩება საქონელბრუნვას, ამ მიზნისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს წლითიწლობით მთლიანად ვერ იყენებენ, ამიტომ არ სრულდება ახალი ობიექტების ამოქმედების გეგმები, სათანადოდ არ განვითარებულა ვაჭრობის პროგრესული მეთოდები, განსაკუთრებით მისი ისეთი ფორმა, როგორიცაა თვითმომსახურების მაღაზიები. მთელ რიგ შემთხვევებში ამ დავალებათა შესრულებას ფორმალური ხასიათი აქვს. ასეთ მაღაზიებს მათთვის შეუფერებელ სადგომებში ხსნიან. ცუდად იყენებენ ამ მიზნისათვის საბინაო მშენებლობაში კაპიტალური დაბანდებათა მოცულობის 5 პროცენტიან ანარიცხებს.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არ იცავენ ახალი სავაჭრო საწარმოების გახსნის დადგენილ წესს.

ჯერ კიდევ გრძელდება სავაჭრო სადგომების აღება სხვა შესაბამისი სადგომების მიუცემლად; მთელ რიგ შემთხვევებში ეს სადგომები გამოყენებულია არადანიშნულებისამებრ.

კვლავ გრძელდება სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა და დატაცება, რაც უწინარეს ყოვლისა იმას მოწმობს, რომ კადრების შერჩევასა და განაწილებას ნაკლოვანებანი ახასიათებს.

სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი ზოგიერთი საწარმო უგულებელყოფს სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთებს, წყვეტს ისეთი საქონლის წარმოებას, რომელზედაც მოსახლეობის მოთხოვნაა, და განაგრძობს ისეთი საქონლის გამოშვებას, რომელიც ბაზარს არ სჭირდება, სათანადოდ არ აფართოებს მასობრივი მოთხოვნილების საქონლის გამოშვებას. ბევრი სამრეწველო საწარმო ვერ ასრულებს საქონლის მოცულობის, განსაკუთრებით ასორტიმენტის მიხედვით მიწოდების გეგმებს, დამაკმაყოფილებლად ვერ ახორციელებს საქონლის ხარისხის კონტროლს. მცირე რაოდენობით გამოდის დაფასოებული საქონელი; ბევრ შემთხვევაში მათ უშნო საფუთავი აქვთ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სისტემატურად არ მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ვაჭრობა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენების გამოყენების, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების ბაზაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებსა და უწყებებს, სავაჭრო და კოოპერაციული ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს:

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ფართოდ განავითარონ თვითმომსახურების მაღაზიების ქსელი, მოათავსონ ისინი ფართო სადგომებში და აღჭურვონ თანამედროვე მოწინავე ტექნიკით;

— მოამზადონ საქონელბრუნვაში საქონლის დამატებითი რესურსები და საქონლის ზეგეგმითი მარაგი, არ დაუშვან შეფერხება ისეთი საქონლის ვაჭრობაში, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება;

— უზრუნველყონ ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და ტექნიკური აღჭურვისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების უცილობლივ შესრულება, აგრეთვე მშენებარე ობიექტების გადაცემა საექსპლოატაციოდ დაწესებულ ვადებში. ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით სახელმწიფო ასიგნებათა გარდა, ბანკების გრძელვადიანი კრედიტები და დაფინანსების სხვა არაცენტრალიზებული წყაროები;

— სისტემატური კონტროლი გაუწიონ საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის 5-პროცენტიანი ანარიცხების გამოყენებას და მიაღწიონ მათ სრულ ათვისებას დანიშნულებისამებრ;

— სათანადო წესრიგი დაამყარონ ვაჭრობის ახალი ობიექტების დაპროექტებაში, უზრუნველყონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაცემა სამშენებლო ორგანიზაციებისათვის დაწესებულ ვადებში;

— გააძლიერონ ბრძოლა სახელმწიფო საცალო ფასების, ვაჭრობის წესების დაცვისათვის, უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების დაცვა-პატრონობა;

— განაგრძონ მუშაობა აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის უსასტიკესად დაცვისათვის;

— უფრო ფართოდ ჩააბან სავაჭრო ქსელის მუშაობაში ქალები და ახალგაზრდობა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სავაჭრო განათლება, აგრეთვე დამთავრებული აქვთ სავაჭრო-კულინარული სასწავლებლები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, უფრო გაბედულად დააწინაურონ ისინი ხელმძღვანელ სამუშაოზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ კადრების სწორად შერჩევას, რომლებიც მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე იგზავნებიან;

— მოსახლეობის მომსახურებაში პარალელიზმის აღმოფხვრის მიზნით, მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 თებერვლის № 59, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 თებერვლის № 89 დადგენილებით და ორი თვის ვადაში მოახდინონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოების მიღება-გადაცემა, რომლებიც თავიანთი საქმიანობის ზონების გარეთ მოქმედებენ.

2. ვაჭრობის სამინისტრომ:

— მიაღწიონ მომავალ ხუთწლედში საქონლის საჭირო რესურსების გამოძებნის და ვაჭრობის სათანადო ორგანიზაციის გზით რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე საქონელბრუნვის დონის მიახლოებას საერთო საკავშირო დონესთან და სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ისეთ გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის კვების სტრუქტურის გადაჭრით გაუმჯობესებას;

— გაითვალისწინოს სახალხო მოხმარების საქონელზე სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების აუცილებლობა;

— 1970 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს ცეკავშირის გამგეობასთან და სახელმწიფო კომიტეტთან „საქკონსერვხილბოსტანთან" ერთად, კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი ლიმიტების საფუძველზე, საკოორდინაციო გეგმა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა 1971-1975 წლებისათვის, როგორც მთლიანად, ისე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ვაჭრობის განვითარებას შავი ზღვის სანაპიროს საკურორტო ზონაში და წარუდგინოს განსახილველად სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

— ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო ვაჭრობას ქალაქის მოსახლეობისა და მოაგარაკეთა მომარაგებაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ყოველგვარი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს, რათა შემოზიდონ თავიანთი პროდუქცია ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებში, ჩაატაროს ბაზრების კეთილმოწყობა და მტკიცედ დაიცვას ბაზრებში საჭირო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, გააძლიეროს ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ.

3. დაევალოს ვაჭრობის სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს და მშენებლობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეისწავლონ თბილისის ცენტრალური უნივერმაღის მშენებლობის მდგომარეობა, შეიმუშაონ და დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გადაცემას საექსპლოატაციოდ არა უგვიანეს 1973 წლისა, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტას მოითხოვენ, წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებული წინადადებანი.

4. ცეკავშირის გამგეობამ:

— უახლოეს წლებში მთლიანად აღმოფხვრას ვაჭრობის ჩამორჩენა, ამასთან მთელი კაპიტალდაბანდებანი პირველ რიგში მოახმაროს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მშენებლობას სოფლად;

— უახლოეს წლებში აღჭურვოს სავაჭრო-სასაწყობო ქსელი სამაცივრო მოწყობილობით, რომელიც ამჟამად ალიმიტებს სოფლად სწრაფფუჭებადი საქონლის ვაჭრობის განვითარებას;

— ფართოდ მოიზიდოს სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვაში საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სარეწების პროდუქცია;

— მაქსიმალურად უზრუნველყოს სოფლის მოსახლეობის მომარაგება გამომცხვარი პურით, მოაწყოს პურის ცხობის ძირითადი საწარმო პროცესების მექანიზაცია და ამ საფუძველზე გააფართოოს ასორტიმენტი და გაადიდოს ცალობრივი პურის და ფუნთუშეულის გამოშვება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად განიხილოს წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დამამზადებელი დამხმარე საწარმოების განვითარების საკითხი.

5. ვინაიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ და მის შემადგენლობაში შემავალი „საქხილბოსტანვაჭრობის“ მოწყობის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ორგანიზაციების როლი კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის ვაჭრობაში, და პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად, მთლიანად დაეკისროს 1972 წელს „საქკონსერვხილბოსტანს“ კარტოფილის ,ხილისა და ბოსტნეულის ვაჭრობა, სახელმწიფო ბიუჯეტის, სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებების, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომარაგება კარტოფილითა და ხილბოსტნეულით იმ ქალაქებში, რომლებსაც მომსახურებას უწევს სახელმწიფო ვაჭრობა (გარდა იმ ქალაქებისა და დაბებისა, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მუშათა მომარაგების სამმართველოები და განყოფილებები), ამასთან გადაეცეს მას ბალანსიდან ბალანსზე ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ვაჭრობის მთელი სავაჭრო ქსელი, წვრილსაბითუმო მაღაზიები, კარტოფილ და ხილსაცავები.

6. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გამოყოს საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ლიმიტები იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ვაჭრობის მოთხოვნილებას, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ მთლიანად დააკმაყოფილოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მოთხოვნილება სასაქონლო ტვირთების გადაზიდვაზე, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც განლაგებულია ხორცგადამმუშავებელი და რძის კომბინატები, დააკომპლექტოს ავტოპარკი სპეციალიზებული გამაცივებელი მცირეტონაჟიანი ავტოტრანსპორტით.

7. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ვაჭრობის პროგრესული ფორმების დანერგვას და უზრუნველყოს ფართო სავაჭრო სადგომების გამოყოფა თვითმომსახურების მაღაზიებისათვის;

— განიხილოს საკითხი, რომ უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფილ იქნეს „საქხორცერბოკარაქთევზვაჭრობის“ № 4 მაცივრის და სოლანლუღის ნაყინის ფაბრიკის, აგრეთვე ამ რაიონში განლაგებული საქფეხსაცმელვაჭრობის, საქკულტვაჭრობის, საქმეურნვაჭრობის და საქმარაგვაჭრობის სასაწყობო მეურნეობის ნორმალური წყალმომარაგება (საყოფაცხოვრებო და ტექნიკური მიზნებისათვის).

8. საპროექტო ორგანიზაციებმა ვაჭრობის სამინისტროს შეუთანხმონ იმ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების შესამუშავებელი ტექნიკური პროექტები, რომლებშიაც გათვალისწინებულია სადგომები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის, ამასთან შეიტანონ ეს პირობა დაპროექტების დავალებაში, ხოლო სახმშენმა და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა არ მიიღონ ისინი განსახილველად ისე, თუ არ ექნა ვაჭრობის სამინისტროს თანხმობა.

მეხ. 135
ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. მუშათა მომარაგების სამმართველოების, განყოფილებების და სავაჭრო ქსელის მქონე სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებმა, რომლებთანაც მოქმედებენ საზოგადოებრივი კვების ობიექტები:

— გაითვალისწინონ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმებში სახსრების გამოყოფა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და მისი ტექნიკური აღჭურვისათვის, გამოუყონ ვაჭრობის ობიექტებს შესაბამისი სადგომები;

— შექმნან და გააფართოონ ღორის სასუქებელი და სხვა დამხმარე მეურნეობანი კვების გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის.

10. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების და განათლების სამინისტროებმა დაუთმონ სავაჭრო ორგანიზაციებს სასწავლებლებში სადგომები (სასადილოებისა და ბუფეტებისათვის), დასაჯდომი ადგილების დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად.

11. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელი საწარმოები აქვთ, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა, სისტემატურად გააფართოონ სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადებით მოსახლეობისათვის საჭირო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მოხსნან წარმოებიდან და შეამცირონ პროდუქციის გამოშვება მათზე მოთხოვნილების შეცვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე დანერგონ წარმოებაში ახალი სახეობის ნაწარმი.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და მთავარმომარაგებამ გამოჰყონ საჭირო რაოდენობის ნედლეული და მასალები სახალხო მოხმარების ისეთი საქონლის წარმოებისათვის, რომელიც სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინეს სამრეწველო პროდუქციის წარმოების 1971 და შემდგომი წლების დაზუსტებულ გეგმებში.

12. მთავარმომარაგებამ განიხილოს საკითხი ძირითადი სახეობის სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობის ფონდების გადიდებისა სავაჭრო საწარმოების მოსამარაგებლად (ფაიფურ-ქაშანურის, ხარისხოვანი და სამზარეულოს ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო მაცივრები სასკოლო კვების საწარმოებისათვის, კომპრესორებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები და სხვ.), ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობის განაცხადების გათვალისწინებით.

13. დაევალოთ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს სისტემატურად განიხილონ საქვეუწყებო საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მდგომარეობა და მიიღონ ზომები ამ საქონლის წარმოების გასადიდებლად, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ მინისტრს და უწყების ხელმძღვანელს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქონლის წარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიწოდების დაწესებული გეგმების შესრულებისათვის.

14. ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ:

— მნიშვნელოვნად გაადიდოს მაგრად შებოლვილი ძეხვის ნაწარმისა და ღორის შაშხის წარმოება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოს ხორცის ნახევარფაბრიკატების გამომუშავება და მათი შეტანა საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და საცალო სავაჭრო ქსელში განუწყვეტლივ მთელი კვირის განმავლობაში, ნახევარფაბრიკატების ტრანსპორტირების დამტკიცებული წესებისა და რეალიზაციის ვადების მტკიცე შესაბამისობით;

— დააჩქაროს ნახევარფაბრიკატების მოწყობა რუსთავის, თელავის, ახალციხისა და სამტრედიის ხორცკომბინატებში;

— მიიღოს გადამწყვეტი ზომები, რათა დაკმაყოფილდეს თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, გორის, რუსთავის, ჭიათურის, სამტრედიის, ტყიბულისა და ცხინვალის სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნილებანი წვრილად დაფასოებულ დოზირებულ სოსისებსა, მაწონსა, ხაჭოსა და მდნარ კვერებზე.

15. კვების მრეწველობის სამინისტრომ:

— შეიმუშაოს და განახორციელოს წარმოების ტექნოლოგიის ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ლუდის შენახვის ვადის გახანგრძლივებას მისი ხარისხის გაუუარესებლად;

— უზრუნველყოს სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადებით ფართო ასორტიმენტის პურისა და პურფუნთუშეულის წარმოება და სავაჭრო ქსელში მიტანა და გააუმჯობესოს მათი ხარისხი.

16. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ:

— გააფართოოს სახალხო მოხმარების გამოშვებული საქონლის ასორტიმენტი და გადაჭრით გააუმჯობესოს მისი ხარისხი;

— აღკვეთოს დარღვევები სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებაში მოცულობისა და ასორტიმენტის მხრივ;

— დროზე აცნობოს საქვეუწყებო საწარმოებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმები და დამატებითი დავალებანი, რომლებიც წლის განმავლობაში დაწესდება.

17. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოების განვითარებას, პირველ რიგში სასოფლო ასორტიმენტის, გალანტერიისა და სხვა საქონლის წარმოების განვითარებას ადგილობრივი ნედლეული რესურსების და წარმოების ნარჩენების გამოყენების ბაზაზე.

18. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

— განიხილონ ვაჭრობის მდგომარეობის საკითხი, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი ორგანიზაციის ძირეულად გაუმჯობესებას;

— გაათავისუფლონ არადანიშნულებით დაკავებული სავაჭრო სადგომები და გადასცენ ისინი ვაჭრობის სამინისტროს და სამომხმარებლო კოოპერაციას;

— გაგზავნონ ვაჭრობაში სამუშაოდ, განსაკუთრებით მატერიალურად-პა-სუხსაგებ თანამდებობებზე, შემოწმებული და ნდობის ღირსი პირები, ფართოდ გამოიყენონ საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში ქალთა შრომა;

— ფართოდ ჩააბან ვაჭრობაში ახალგაზრდობა, რომელსაც დამთავრებული აქვს სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სხვა სასწავლებლები, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

19. გაფრთხილება მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, რომ მათ ეკისრებათ პირადი პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებათა შესრულებისათვის, რომლებიც კრძალავენ ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოების აღებას ისე, თუ მათ სამაგიეროდ არ მიეცათ სხვა სათანადო სადგომები, აგრეთვე სავაჭრო სადგომების გამოყენებას არადანიშნულებისამებრ.

20. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამიერიდან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ანგარიშების მოსმენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმზე მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი მ. **მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1970 წ. 31 დეკემბერი, № 687

ინდექსი—76187

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

## № 6 1971 год

**გამომცემელი:** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^{1}/_{16}$,
საბეჭდი თაბახი 4,25 სააღრიცხვო თაბახი 4.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 93 ტირაჟი 2350

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.